ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის- ინგა დუმბაძის

ა ნ გ ა რ ი შ ი

წარმოგიდგენთ ჩემს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ წლის შემაჯამებელ ანგარიშს, საანგარიშო პერიოდი კი მოიცავს 2016 წელს.

შეგახსენებთ, რომ საკრებულოს ორი დარგობრივი: საბიუჯეტო-საფინანსო, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი გახლავართ, ასევე ჩართული ვარ საკრებულოსთან არსებული გენდერული საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობაში.

ტრადიციულად, მოსახლეობასთან, თვეში ორჯერ მაქვს შეხვედრის დღე, თუმცა, კვირის სხვა დღეებშიც ვხვდები მათ და ვეცნობი პრობლემებს.

ჩემს სახელზე შემოსული წერილობითი და ზეპირი განცხადებები ძირითადად სოციალური, ინფრასტრუქტურული, საგანმანათლებლო ხასიათისაა. მოქალაქეები ითხოვენ მკურნალობის დაფინანსებას, დასაქმებას, სწავლის დაფინანსებას, სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციას, სასმელი და სარწყავი წყლით უზრუნველყოფას, სოფლის შიდა გზების მოწესრიგებას და ა.შ.

თვითმმართველობა წარმოადგენს მოქალაქეებთან ყველაზე ახლო მდგომ ხელისუფლებას. ადგილობრივი მოსახელობა არის თვითმმართველობის უმთავრესი სუბიექტი, რომლის უფლება, შესაძლებლობა და პასუხისმგებლობაც ადგილობრივი საკითხების მოწესრიგებაა, აღნიშნულისთვის კი საჭიროა გვქონდეს მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული ბიუჯეტი, რომელიც სწორად შერჩეული პრიორიტეტების მიხედვით გადანაწილდება. ამიტომ, ჩვენმა გუნდმა მოსახლეობისთვის უფრო მეტად გასაგები გახადა ბიუჯეტი, თუ სად და რაში იხარჯება თითოეული თეთრი. ოზურგეთის ისტორიაში პირველად, საკრებულომ 2017 წლის ბიუჯეტი პროგრამულ ჭრილში დაამტკიცა.

რა არის პროგრამული ბიუჯეტი?

ეს არის წერილობითი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს კონკრეტული ღონისძიებების, საქმიანობების მწყობრ სისტემას, რომლის გაზომვა და შეფასება შესაძლებელია. ამასთანავე სცემს კითხვაზე პასუხს, თუ რამდენად უნარიანია ადგილობრივი ხელისუფლება შეასრულოს მის წინაშე მგდარი ამოცანები.

ასეთმა გეგმაზომიერმა ნაბიჯებმა, ქონების ღია აუქციონების წესით გაყიდვამ, ქონების გადასახადის ტარიფის ზრდამ, საბიუჯეტო სახსრების ეფექტურმა ხარჯვამ მიგვიყვანა იქამდე რომ 2017 წელს ჩვენი ბიუჯეტი განისაზღვრა 10 მილ 400 ათასი

ლარით, რაც ყველაზე დიდი მაჩვენებელია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ისტორიაში.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ინფრასტრუქტურა. ინფრასტრუქტურის მშენებლობა და განვითარება არის ჩვენი მუნიციპალიტეტის ნომერ პირველი პრიორიტეტიც. მოგახსენებთ, ამ მიმართულებით რისი გაკეთება შევძელით სოფელში.

სოფელ ვაკიჯვარი - ბაღდადის (ცხემლისხიდის თემი) მონაკვეთზე წყალმომარაგების სისტემის სარეაბილატაციო სამუშაოები 2016 წლის შემოდგომაზე დასრულდა.

მე როგორც საკრებულოს წევრი და ამ სოფლის მაცხოვრებელი, განსაკუთრებით ვინტერესდები ყველა იმ პროექტით, რომელიც აქ ხორციელდება. შესასრულებელი სამუშაო მოიცავდა 3კმ 800 მეტრს. აქედან 2კმ400 მეტრი ახალი მილი დამონტაჟდება, ხოლო 1კმ 400მ არსებული მილი ჩაიდო არხში. ბაღდადში კი ე. წ. "ხომერიკების უბანში" მთლიანად შეიცვალა დაზიანებული მონაკვეთი და ბოლომდე გაკეთდა მოსახლეობაში გადამსვლელი მილები. როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი 2017 წელს იგეგმება ვაკიჯვარი - ბაღდადის 27 კილომეტრიანი მაგისტრალის პროექტის შესყიდვა და ვიმედოვნებთ, რომ მალე 400 კომლიან სოფელს აღარ ექნება სასმელი წყლის პრობლემა.

მიხარია , რომ წარმატებით დავასრულეთ დანაპირები ახალი საბავშო ბაღის მშენებლობასთან დაკავშირებით. მინდა გითხრათ, რომ იგი შენდებოდა როგორც საკუთარი სახლი. პირადად მშენებლობის თითქმის ყველა ეტაპს ვაკვირდებოდი დაწყებული ფუნდამენტიდან დამთავრებული მის საბოლოო იერსახემდე.

2017 წელს იგეგმება რეფორმების გატარება საბავშო ბაღებში. ამჯერად მიდის დოკუმენტის სრულყოფა და პირველი აპრილისთვის იქნება მზად. პრობლემა ის არის რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში აღმზრდელებს არ მიუღიათ ჯეროვანი პროფესიული დახმარება, მხოლოდ საკუთარი ენთუზიაზმითა და კეთილსინდისიერების იმედად იყვნენ ამ საქმეში, ამას ემატება მოუწესრიგებული ინფრასტრუქტურა და დაბალი ხელფასები. თანამედროვე მსოფლიო კი სხვა გამოწვევებს აყენებს მათ წინაშე. კერძოდ ხელი უნდა შეუწყოთ ბავშვების ინდივიდუალური განვითარების თავისებურებებს, რათა შემდგომში უზრუნველყოთ მათი თავდაჯერებული შესვლა სამოქალაქო ცხოვრებაში. ამისათვის საჭიროა აღმზრდელები იცნობდნენ, იზიარებდნენ და ანხორციელებდნენ პედაგოგიკაში არსებულ სიახლეებს, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ დონეზე და ზრუნავდნენ საკუთარ პროფესიულ სრულყოფაზე. ჩვენ ბაღებში დასაქმებულმა პერსონალმა უნდა შეძლოს პროგრამის შესაბამისად გაიაროს ტესტირება. ჩემი როგორც საკრებულოს წევრის დახმარება და მოთხოვნა იქნება ის, რომ ტრენერები ადგილზე ჩამოვიდნენ და სემინარები აქ, გამართონ.

გაცნობებთ, რომ 2016 წლის ივნისიდან ტურისტული კომპანია „ველქამ თუ ჯორჯია“ ახორციელებს გურიის რეგიონში ტურისტულ პროექტს „გურული დღიურების გზა“, რომელიც ითვალისწინებს გურიის რეგიონში ტურისტული ნაკადის პრაქტიკულად მიმართვას. პროექტის ფარგლებში გურიას პირველივე სეზონზე ესტუმრა ათეულობით სტუმარი და ამაღლდა რეგიონის ტურისტული ცნობადობა როგორც ქართულ, ასევე ევროპულ ტურისტულ ბაზარზე. ბაღდადში და შემოქმედში მცხოვრებ მოსახლეობას, ტურისტულ კომპანიასთან გაფორმებული გვაქვს ხელშეკრულებები. ოჯახებს ვიყენებთ სასტუმროებად. გეტყვით, რომ ამ საქმეში დიდია ჩემი ძალისხმევა.

სასიამოვნო სიახლე

გურული დღიურები დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე კარგად გაყიდვადი ქართული წიგნია. მისი ავტორი, გურული გიორგი კეკელიძე კი ეროვნული ბიბლიოთეკის ყველაზე სხარტი დირექტორია. ამიტომ ჩემი სამეგობროს იდეის განხორციელება შევძელით ბრენდად გცეულ გურული დღიურების გზასთან ერთად და შევქმენით ფონდი, რომელიც ახალგაზრდებს დაეხმარება საგანმანათლებლო კუთხით. ორი სიტყვით გეტყვით რომ ეს იქნება თვიური სტიპენდია ერთი წლის განმავლობაში. ჩემი აზრით ამ პროექტით ჩვენ კომპეტენციასაც მოვაგროვებთ და გრძელვადაიანად ჩართული ვიქნებით განათლების პროცესში.

2012 წლიდან ხელისუფლების დაპირება იყო, რომ გაზიფიცირება მოხდებოდა ჩვენს სოფელში. დანაპირების შესარულება გვიადვილდება, რადგან მოსაზღვრე სოფლები: ბახვი, დვაბზუ და ცხემლისხიდი გაზიფიცირებულია. გვაქვს 2014 წელს პასუხი(05/ჰ02-262) სოკარ ჯორჯია გაზის აღმასრულებელი დირექტორისგან აზერ მამმედოვისგან, რომ 2015 წლის სამოქმედო გეგმაში აუცილებლად განხილული იქნებოდა ბაღდადის გაზიფიცირების საკითხი, რაც არ შესრულებულა. გაზიფიცირების საკითხის მოუგვარებლობის გამო სოფლის მოსახლეობამ შემოდგომა- ზამთრის პერიოდში 2016 წელს დაკარგა შემოსავალი, ასევე იქნება 2017 წელს თუ არ მოგვარდა სოფლის გაზიფიცირების პრობლემა.

ჩვენი სოფლისთვის სასიცოცხლოა ტურიზმის ეს სახეობა, რადგან ჩვენი ქალები შინ მოემსახურებიან სტუმარს და არ დატოვებენ მოხუცების იმედად პატარა ბავშვებს და არ წავლენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ლუკმა პურის საშოვნელად. ჩვენი ოჯახები სოფელშივე მიიღებენ შემოსავალს, სიღარიბეც შეჩერდება და მიგრაციაც. ამ საკითხებთან დაკავშირებით, როგორც საკრებულოს წევრმა შუამდგომლობა გავაკეთე რაიონის მაჟორიტართან, რაიონის გამგებელთან, გურიის გუბერნატორთან, საკრებულოს თავჯდომარესთან. ვიმედოვნებ, რომ 2017 წელს ეს საკითხი მოგვარდება.

მინდა ორიოდე სიტყვა ვთქა არაფორმალურ განათლებაზე, რომლის ხელმისაწვდომობა ნაკლებად ააქვთ ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებს. არაფორმალური განათლება კი დიდ როლს ასრულებს ადამიანების პროფესიულ და კარიერულ წინსვლაში. აქედან გამომდინარე ჩემი სახსრებით, 2016 წელს დავაფინანსე ახალგაზრდები. მათ გაიარეს ორგანიზაციში ,,ახალგაზრდული ალიანსი რეფორმენისთვის'' სწავლება, რომელმაც მისცა შესაძლებლობა გაეღმავებინათ ცოდნა სხვადასხვა მიმართულებით, როგორიცაა საჯარო დებატები, ბიზნესი, მარკეტინგი და ა.შ.

ამ ახალგაზრდებს აუცილებლად გადავცემ ჩემს პროფესიულ თუ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, გადავცემ სასარგებლო კონტაქტებს, ვეხმარები დისტანციურად, ცოდნის შეძენაში, ერთი პირობით რომ დაუბრუნდნენ სოფელს. ალბათ, გრძნობთ, რომ ეროვნული კულტურის ვარდნა იმიტომ მოხდა რომ ქალაქური კულტურა ჩვენთვის ორგანული არ არის. ქალაქშიც უნდა ვიყოთ, მაგრამ ჩვენი ხერხემალი ბუნებასთან და მიწასთანა, მას რომ დავშორდით, ძალა იმიტომ გვეცლება, სასწრაფოდ უნდა დავუბრუნდეთ სოფელს.

ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ რეგიონალური ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საინვესტიციო პროექტების შემუშავებას, პოტენციურ ინვესტორებთან მოლაპარაკებების წარმოებას. სტრატეგიული ხედვების დაყვანას მუნიციპალურ დონეზე. მოგეხსენებათ, რომ კურორტ ბახმაროში ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას აქვს სააგარაკო სახლები. ამ სტრატეგიული პროექტებით მოხდება ტურისტული სეზონის გაბათილება ანუ ტურისტული სეზონი შეძლებს ფუნქციონირებას მთელი წელი, რომლითაც ჩვენი მოსახლეობა მიიღებს დამატებით სოლიდურ შემოსავალს.

3 წლიანი სადეპუტატო მუშაობის შემდეგ, კიდევ ბევრი პრობლემა და საკითხი დარჩა მოსაგვარებელი ჩვენს რაიონში. 2017 წელი მნიშვნელოვანია, რადგან ეს წელი გარდამტეხია ჩვენი მოსახლეობისათვის. ვაპირებ, ახალი ენერგიით განვაახლო შეხვედრები მოსახლეობასთან და ეტაპობრივად დავძლიო ის პრობლემები, რომელთა მოგვარება გასულ წლებში ვერ შევძელი.

საკრებულოს წევრი: **ინგა დუმბაძე**